სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მერაბ ალექსიძის II შესახ. №2
0193 თბილისი, საქართველო
+995 32 2 02 21 21
info@eqe.ge

MES

25 11 2026

შპს - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

საიდენტიფიკაციო კოდი: 208215509

ტიპი: უნივერსიტეტი

ავტორიზაციის მიმდინარე სტატუსი ავტორიზებული

ვებგვერდი https://www.seu.edu.ge/

სახელმწიფოს მიერ აღიარებული პერიოდი

სახელმწიფოს მიერ აღიარებული პერიოდი: 14.12.2001-15.09.2005

სახელმწიფოს მიერ აღიარებული პერიოდი: 24.12.2009-24.12.2014

სახელმწიფოს მიერ აღიარებული პერიოდი: 24.12.2014-01.07.2021

სახელმწიფოს მიერ აღიარებული პერიოდი: 23.06.2021-23.06.2027

დაწესებულების ისტორია

შპს - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ დაარსდა 2001 წლის 19 ნოემბერს. ხვადასხვა დროს უნივერსიტეტი ფუნქციონირებდა შემდეგი

სახელწოდებებით:

- შპს - ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი;
- შპს - სასწავლო უნივერსიტეტი სეუ;
- შპს - სასწავლო ეროვნული უნივერსიტეტი სეუ.

აკრედიტაცია/ავტორიზაცია:

საქართველოში 2005 წლიდან დაიწყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესის განხორციელება, ხოლო 2010 წლის სექტემბრიდან გაუქმდა საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიების გაცემისა და ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭების პროცესი და დაიწყო საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ, 2005-2006 სასწავლო წლის დაწყებამდე განხორციელებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები აღიარებულია სახელმწიფოს მიერ.

*2005 წლის 15 თებერვლს შპს - ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს უარი ეთქვა ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭებაზე, თუმცა აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამები, კანონმდებლობით ჩარიცხული სტუდენტებისათვის, ჩაითვალა აკრედიტებულად 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე.

**შპს - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ უფლებამოსილი იყო კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხული სტუდენტებისთვის განეხორციელებინა სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები 2001 წლის 17 დეკემბრიდან 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე, ასევე, 2009 წლის 24 დეკემბრის შემდგომ.